საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 286/ს
22/06/2023

286-21-4-202306221644

შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგიას“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში მდ. ხობისწყალზე ხობი 2 ჰესის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგიას“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში მდ. ხობისწყალზე ხობი 2 ჰესის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

2018 წლის 13 მარტს შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგიას“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში მდ. ხობისწყალზე ხობი 2 ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებებზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-149).

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, სოფ. მუხურში. გზშ-ის ანგარიშისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიხედვით, ჰესის შემადგენლობაში შედის: სათავე ნაგებობა, სადერივაციო გვირაბი, სადაწნეო მილსადენი, ჰესის ძალური კვანძი, ტურბინებიდან მდინარის კალაპოტამდე წყლის მიმყვანი გვირაბი, ქვესადგური, გვირაბის გამოსასვლელთან მისასვლელი გზა; სათავე ნაგებობამდე მისასვლელი გზა; სამშენებლო ბანაკი და სამშენებლო ბაზა. ხობი 2 ჰესის კომუნიკაციების ნაწილი განლაგებულია ზურმუხტის ქსელის დამტკიცებული საიტის (სამეგრელო - GE0000021) საზღვრებში. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოესი დასახლებული პუნქტი საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 3,8 კმ-ით. სკრინინგის განცხადებაზე თანდართული shp ფაილების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული საპროექტო ტერიტორიის ნაწილი ხვდება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებულია: სადერივაციო გვირაბის სიგრძის, გამოსასვლელი პორტალისა და სადერივაციო გვირაბის გასაყვანად საჭირო TBM ბაქნის განთავსების ადგილის, ასევე, სადაწნეო მილსადენისა და ჰესის შენობის ფართობისა და ადგილმდებარეობის ცვლილება.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, დაგეგმილია სადაწნეო მილსადენის სიგრძის ცვლილება და მარცხენა მხარეს გადატანა (GPS კოორდინატები: X-273417.7 Y-4725804.36; X-273359.28 Y4726278.68). სადაწნეო მილსადენის განთავსების ახალი ტერიტორია ნაწილობრივ გაიმეორებს ძველის კონტურს. გზშ-ის ანგარიშისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების თანახმად, სადაწნეო მილსადენის სიგრძე შეადგენდა 660 მეტრს, ხოლო ფართობი - 12 413 მ^2-ს. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდგომ, სადაწნეო მილსადენის სიგრძე შემცირდება 130 მეტრით და გახდება 530 მეტრი, ხოლო სადაწნეო მილსადენის მიერ ასათვისებელი ტერიტორიის ფართობი შემცირდება დაახლოებით 1827 მ^2-ით და გახდება 10 586 მ^2. აღნიშნული ცვლილება განაპირობებს სადერივაციო გვირაბის სიგრძისა და გამოსასვლელი პორტალის ადგილმდებარეობის ცვლილების საჭიროებას. კერძოდ, გზშ-ის ანგარიშისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების თანახმად, სადერივაციო გვირაბის სიგრძე შეადგენდა 6610 მეტრს, ხოლო ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, სადერივაციო გვირაბის სიგრძე გაიზრდება დაახლოებით 100 მეტრით და გახდება 6710 მეტრი. აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, შეიცვლება გამოსასვლელი პორტალის ადგილმდებარეობაც და იგი გადაინაცვლებს ძველი განთავსების ადგილიდან დაახლოებით 70 მ-ით, სამხრეთით, ძალური კვანძის მიმართულებით (GPS კოორდინატები: X-273417.7 Y-4726804.36). რაც შეეხება სადერივაციო გვირაბის გაყვანისათვის საჭირო გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრულ TBM ბაქანს, მისი გადატანა მოხდება სადაწნეო მილსადენის განთავსებისათვის გათვალისწინებულ ახალ ტერიტორიაზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში ასევე დაგეგმილია ჰესის შენობის განთავსების ადგილისა და ფართობის ცვლილება, კერძოდ, ჰესის შენობის განთავსების ტერიტორია გადაინაცვლებს ძველი განთავსების ადგილიდან სამხრეთის მიმართულებით (GPS კოორდინატები: X-273350.09 Y-4726248.04) და ნაწილობრივ გაიმეორებს ძველი ტერიტორიის კონტურს. ამასთან, 908 მ^2-ით შემცირდება ჰესის შენობის განთავსების ადგილის ფართობი და ნაცვლად გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული 3963 მ^2-ისა, იქნება 3055 მ^2.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ იქნება დაკავშირებული სამშენებლო სამუშოების ხანგრძლივობის, მასშტაბისა და სქემის ცვლილებასთან, ასევე, ნარჩენების რაოდენობის და სახეობების გაზრდასთან. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდება კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ვინაიდან, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში არ იცვლება ჰესის ტექნიკური პარამეტრები, ასევე, სამშენებლო სამუშაოების მასშტაბი და ხანგრძლივობა, დაგეგმილი საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის/ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების ზრდასთან.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული საპროექტო ტერიტორია მოქცეულია ზურმუხტის ქსელის დამტკიცებული საიტის (სამეგრელო - GE0000021) საზღვრებში. აღსანიშნავია, რომ დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ასათვისებელი ახალი ტერიტორიები ემთხვევა გზშ-ისა და ზზშ-ის ფარგლებში შესწავლილ არეალს და ზურმუხტის ქსელის დამტკიცებული საიტის საზღვრებში ასათვისებელი ტერიტორიის ფართობი მცირდება დაახლოებით 2735 $მ^2$-ით. ამასთან, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ იქნება დაკავშირებული ჭრას დაქვემდებარებული ხე-მცენარეების რაოდენობისა და მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობის ზრდასთან.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული საპროექტო ტერიტორიიდან (13 823 $მ^2$) „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 199 $მ^2$ წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს, კერძოდ, ჩხოროწყუს სატყეო უბნის მუხურის სატყეოს (ყოფილი საკ. ტყე). სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე საქმიანობა შეთანხმდება სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაიგზავნა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, სპეციფიკისა და მასშტაბის გათვალისწინებით, არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების ზრდასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგიას“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში მდ. ხობისწყალზე ხობი 2 ჰესის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგია“ ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს 2018 წლის 13 მარტს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება 2-149) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით;
3. შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგია“ ვალდებულია სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე დაგეგმილი საქმიანობა შეათანხმოს სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან;
4. ზემოაღნიშნული პირობა წარმოადგენს 2018 წლის 13 მარტს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-149) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მისი შესრულება სავალდებულოა;
5. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგიას“;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო თანდილაშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო